საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/609
10/12/2024

609-01-2-202412101324

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინებასთან დაკავშირებით

1. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებისადმი პატივისცემას, იმავდროულად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848, 1849 განჩინებასთან დაკავშირებით.

2. №3/7/1848, 1849 განჩინებით, არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის საილუსტრაციოდ მიუთითებდა, მათ შორის, იმ გარემოებაზე, რომ არჩევნების მომწესრიგებელი საქართველოს კანონმდებლობა არ იყო უნარიანი, სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლისათვის უზრუნველეყო საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობაზე არაგონივრული დაბრკოლებების გარეშე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ამომრჩევლების საცხოვრებელი ადგილის მაქსიმალური გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნით.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული საარჩევნო უფლებით სათანადოდ

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

სარგებლობისათვის საკმარისი არ არის, საარჩევნო უბნების გახსნის გზით, ამომრჩევლისათვის ფორმალურად ხმის მიცემის შესაძლებლობის მინიჭება, არამედ აუცილებელია არჩევნების არასათანადო ზეწოლისაგან თავისუფალ გარემოში განხორციელების უზრუნველყოფა. ამიტომ, ჩემი კოლეგების დასკვნით, არჩევნებში მონაწილეობაზე გარკვეული ბარიერის დაწესება, მათ შორის, ამა თუ იმ ადგილას საარჩევნო უბნის გაუხსნელობა, თავისთავად საარჩევნო უფლების დარღვევაზე არ მიუთითებს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად, საჭიროა დადასტურდეს, რომ საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიური დაწესებულების არმქონე ქალაქებში, მოქალაქეთა ფაქტობრივ საცხოვრებელთან ახლოს, არჩევნების სათანადოდ ორგანიზების პირობით, საარჩევნო უბნის გაუხსნელობამ პოტენციურად დაარღვია საარჩევნო უფლება. საამისოდ, თავის მხრივ, უნდა დადგინდეს, რომ სახელმწიფოს, გონივრული რესურსების გაწევის პირობებში, შეეძლო საზღვარგარეთ მოეხდინა საარჩევნო გეოგრაფიის უფრო ფართო დაფარვა, არჩევნების სათანადოდ ორგანიზების პირობით, რაც არ განახორციელა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინება, II-4-7).

4. მართალია, ვიზიარებ ჩემი კოლეგების პოზიციას სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის, საარჩევნო უბნის გახსნის გზით, ხმის მიცემის შესაძლებლობის მინიჭებისა და საკუთარი არჩევანის თავისუფალ გარემოში გამოხატვის გარანტიების თანაარსებობის საჭიროებასთან, ისევე, როგორც სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული, ტექნიკური სირთულეებისა თუ შეზღუდული ადამიანური რესურსების თაობაზე, თუმცა, მივიჩნევ, რომ წარმოდგენილი სასარჩელო არგუმენტაცია და მტკიცებულებები სათანადოდ ასაბუთებდა გასაჩივრებული ნორმებიდან მომდინარე პრობლემას, შესაბამისი კონსტიტუციური დებულებების შეზღუდვას და სადავო მოწესრიგების შესაძლო არაკონსტიტუციურობას, რაც საკმარისი იყო კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მისაღებად. მიუხედავად ამისა, ჩემმა კოლეგებმა, ფაქტობრივად, განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში შეაფასეს სადავო წესების კონსტიტუციურობა, რელევანტური საკითხების აბსოლუტური უმრავლესობის გამოკვლევის გარეშე და სხვა სახელმწიფოში, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის არმქონე დასახლებებში, საარჩევნო უბნების გასახსნელად სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიების შესაბამისი რესურსის მობილიზების გონივრული შესაძლებლობის არსებობის მტკიცების ტვირთის მოსარჩელე მხარეს გადააკისრეს. მოცემულ

საქმეზე, მხედველობის მიღმა დარჩა იმ კომპეტენციის თვისობრიობაც, რომლის ფარგლებშიც იყო მოთხოვნილი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმება.

(ა) საყოველთაო საარჩევნო უფლება, როგორც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის გარანტირების მექანიზმი

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ აღიარებულია ხალხი, რომელიც ძალაუფლებას, მათ შორის, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება კი, კატეგორიულად გამორიცხავს ვინმეს მიერ ხელისუფლების მითვისების შესაძლებლობას. ხსენებული დებულებები წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოსა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპების კონსტიტუციურ დონეზე გამოვლინებას.

6. სახალხო სუვერენიტეტის იდეა, ერთმნიშვნელოვნად, არის დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტური კონცეფცია, რომელიც გულისხმობს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება სათავეს იღებს ხალხისაგან, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არსებობენ ერთადერთი მიზნით – ემსახურონ ხალხის ნებას. სწორედ ხალხი წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელში თავმოყრილი პოლიტიკური ძალაუფლების პირველად წყაროს და საბოლოო მსაჯულს, რომლის ნებაზეც არის დამოკიდებული მმართველობითი ორგანოების სიცოცხლისუნარიანობა, ლეგიტიმაცია. სახალხო სუვერენიტეტი ხალხს ანიჭებს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლების ფორმირებაში, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრასა და კანონმდებლობის შემუშავებაში. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროდ ხალხის მიჩნევა, იმავდროულად, ბუნებრივად განაპირობებს ამ უკანასკნელთა მიმართ მმართველობითი ორგანიზების ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას.

7. სახალხო სუვერენიტეტი, მნიშვნელოვანწილად, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის მეშვეობით ხორციელდება. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს კი, თავის მხრივ, არჩევნები წარმოადგენს. არჩევნები არის ინსტრუმენტი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია და რომლის მეშვეობითაც

თითოეული მოქალაქე ირჩევს წარმომადგენელს, გადასცემს მას საკუთარ ძალაუფლებას და, შედეგად, აძლევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

8. ბუნებრივია, დემოკრატიული, ხალხის ნების უზენაესობას დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის საკმარისი არ არის პერიოდული არჩევნების ფორმალურად გამართვა, არამედ აუცილებელია, იგი შეესაბამებოდეს არჩევნების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საარჩევნო პრინციპებს. „სწორედ კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის საყრდენს“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, 4). მაშასადამე, იმისათვის, რათა შეასრულოს საგარანტიო ფუნქცია – უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა, წარმომადგენლობითი დემოკრატია, მმართველობის ლეგიტიმურობა, მმართველობითი ორგანოების ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, აუცილებელია, არჩევნები პასუხობდეს სამართლიანობის კონსტიტუციურ პრინციპებს და იყოს უნარიანი საიმისოდ, რომ მისი მეშვეობით სახელმწიფო თანამდებობის დაკავება მოხდეს ხალხის ნების შესაბამისად და ხმათა ადექვატური ასახვის გზით.

9. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს პარლამენტის დაკომპლექტებას, მათ შორის, საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების შედეგად, პარლამენტის წევრთა არჩევას უკავშირებს. მსგავსად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებაა, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილისაგან დამოუკიდებლად. საყოველთაო საარჩევნო პრინციპის პოზიტიური განზომილება, საკუთარი შინაარსით, მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს არჩევნებში საკუთარი ხმის გამოყენების შესაძლებლობა, სხვათა თანაბრად. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, არჩევნების შედეგად ხალხის მმართველობის მიღწევა შესაძლებელია მაშინ, თუ არჩევნებში მონაწილეობა არის ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისათვის (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493

გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უფლების არსებობა და მისი მნიშვნელობა ეჭვქვეშ არც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დაუყენებია.

10. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებული ყოველდღიური პრობლემები შესაძლოა, ნაკლებად ზემოქმედებდეს სხვა სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე, იმ მოქალაქეებთან შედარებით, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, შეუძლებელია და არც უნდა მოხდეს იმ რეალობის უგულებელყოფა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას გააჩნია მჭიდრო შრომითი, ოჯახური თუ სოციალური კავშირები საქართველოსთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა გზითა და დოზით, ხელს უწყობს სახელმწიფოს გაძლიერებას, იქნება ეს ეკონომიკური თუ სხვა თვალსაზრისით (მაგ., მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2023 წლის პერიოდში, ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით, საქართველო ფულადი გზავნილების მიმღებთა ათეულში მე-6 ადგილს იკავებს, 4,2 მილიარდი დოლარის ფულადი გზავნილების შემოდინებით, რაც, ამავე პერიოდისთვის, საქართველოს მშპ-ს 13.8%-ს უტოლდება). უფრო მეტიც, სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების სათანადო გარანტირება იმ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აღნიშნული მათ აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის მმართველობასა და პოლიტიკის განხორციელებაში, მათ შორის, ზემოქმედება მოახდინონ იმ გარემო-ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობა მათ მიერ სახელმწიფოდან გასვლა და შესაძლოა, გავლენა იქონიოს საქართველოში დაბრუნებაზეც კი.

11. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის, სხვა სახელმწიფოში მყოფს, გააჩნია არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საარჩევნო უფლების პოზიტიური განზომილება კი, სახელმწიფოს აკისრებს საარჩევნო პროცესის იმგვარად ორგანიზების ვალდებულებას, რომ მოქალაქეებმა არჩევნებში მონაწილეობა მოახერხონ ხელოვნური, გაუმართლებელი ბარიერების გარეშე. ხსენებული, თავის მხრივ, გულისხმობს არჩევნების პროცესის იმგვარად ორგანიზების ვალდებულებას, რომ დაფაროს საარჩევნო გეოგრაფია მაქსიმალურად გონივრულად, რათა შესაძლებელი გახდეს სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს რაც შეიძლება მეტი მოქალაქის მიერ საარჩევნო უფლებით შეუფერხებლად სარგებლობა. წინააღმდეგ

შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება ამომრჩევლების ხმების მანდატებში სათანადო გარდასახვა.

(ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს როლი არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების კომპეტენციის ჭრილში

12. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, სამართალწარმოების თითოეულ ეტაპს საკუთარი მიზანი და დანიშნულება გააჩნია, რომლის გათვალისწინებითაც, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ხდება განსხვავებული კატეგორიისა და მოცულობის საკითხების შესწავლა-შეფასება, სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითისთვის, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპი ემსახურება ყველა იმ პროცედურულ-მატერიალური წინაპირობის შემოწმებას, რაც აუცილებელია აშკარად დაუსაბუთებელი და პერსპექტივის არმქონე საქმეების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილვის თავიდან ასაცილებლად. არსებითი განხილვის ეტაპი კი მიზნად ისახავს სადავოდ გამხდარი საკითხების შინაარსობრივად, არსებითად გადაწყვეტას და აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. მაშასადამე, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპის მიზანი არ არის და ვერ იქნება არსებითი განხილვის ეტაპის ჩანაცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, შეიქმნება თვითნებური და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის ნოყიერი ნიადაგი.

13. ამასთანავე, როგორც წესი, მოსარჩელე მხარეს ეკისრება კონსტიტუციურ სარჩელში იმ არგუმენტების/მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს არწმუნებს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის საფუძვლიანობაში. სწორედ მოსარჩელე მხარეა ვალდებული, კონსტიტუციური სარჩელით დაასაბუთოს სადავო ნორმიდან მომდინარე უფლების შეზღუდვის ფაქტი და თავად აღნიშნული შეზღუდვის მიმართება კონკრეტულ კონსტიტუციურ დებულებასთან, ისევე, როგორც, გარკვეული ხარისხით, წარმოაჩინოს გასაჩივრებული რეგულირების არაკონსტიტუციურობა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1416 განჩინება საქმეზე „„შპს სვეტი დეველოპმენტი“, „შპს სვეტი ჯგუფი“, „შპს სვეტი“, „შპს სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“).

14. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის ფუნქციური დატვირთვა იძლევა სამართალწარმოების პროცესში სასამართლოს აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის უზენაესობის, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნისა და შეკავება-გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობის, სახელმწიფო ხელისუფლების საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, ისევე, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი ორგანოს მანდატი შესრულებული ვერ იქნება, თუ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იქნება სამართალწარმოების მხარეების მომზადების დონეზე ან მკაცრად შემოიფარგლება მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტებით (მაგ., საკონსტიტუციო სასამართლო, საკუთარი სამართალწარმოების პრაქტიკაში, უარს ამბობს მოპასუხის მიერ ლეგიტიმური მიზნის წარმოუდგენლობით ან დასახელებული ლეგიტიმური მიზნით ბოჭვაზე (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“)).

15. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი გარემოებების დაზუსტების, გამოკვლევისა და შესწავლის სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის, განმწესრიგებელი სხდომის ზეპირი მოსმენით გამართვის, ან/და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ ყველა სახელმწიფო ორგანოსგან, იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სამეცნიერო დაწესებულებისგან და საინფორმაციო ცენტრისგან ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღების, ან/და მომხსენებელი მოსამართლის მიერ მხარეებთან საქმესთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია აღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრეცენდენტები (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

16. სამართალწარმოების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს აქტიური მონაწილეობა, დავის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტის მიზნით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, რაც გულისხმობს, მათ შორის, არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებას. საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არჩევნების, როგორც დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტის, სამართლიანობა და ლეგიტიმურობა, სამართლის უზენაესობის გარანტირება, ამომრჩეველთა საარჩევნო უფლებების დაცვა, არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოების სანდოობა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სახელმწიფო ხელისუფლების მითვისებას და ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი დავა შეეხებოდა არა მოსარჩელე მხარის სუბიექტურ უფლებებსა და თავისუფლებებს ან/და პერსონალურ ინტერესებს, არამედ ზეაღმატებულ საჯარო ინტერესს, რომლის ხელყოფის თაობაზე, მარტოოდენ, კონსტიტუციური ორგანოს, კონსტიტუციური სტატუსის მქონე სუბიექტების მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა, თავისთავად, საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებდა აქტიური მოქმედების უფლებამოსილებას და, ამავე დროს, ვალდებულებას.

17. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლიდა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ კონსტიტუციური სარჩელით წარმოდგენილი არგუმენტები, მტკიცებულებები არ იყო საკმარისი №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მისაღებად, მას უნდა გამოეყენებინა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მისთვის მინიჭებული ყველა სამართლებრივი ბერკეტი იმისათვის, რათა სათანადოდ გამოეკვლია თითოეული ის საკითხი, რაც, მისივე პოზიციით, კონსტიტუციური სარჩელების დასაბუთებულობის პრობლემას წარმოშობდა, სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოთხოვნის ჭრილში.

(გ) საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის კონტექსტში კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მისაღებობის დასაბუთება

18. როგორც აღინიშნა, სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის კონტექსტში, კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის მოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ მოახერხა იმისი დემონსტრირება, რომ სახელმწიფოს, გონივრული რესურსების გაწევის პირობებში, ჰქონდა შესაძლებლობა, სხვა სახელმწიფოებში მოეხდინა საარჩევნო გეოგრაფიის უფრო ფართო დაფარვა, დამატებით ადგილებში საარჩევნო უბნების გახსნა არჩევნების სათანადოდ ორგანიზების პირობით და მან აღნიშნული არ განახორციელა.

19. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის მოსაზრებების საპირისპიროდ, ვფიქრობ, რომ, განსახილველ საქმეზე, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და მატერიალური მტკიცებულებები ქმნიდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რათა ჩემს კოლეგებს დაედგინათ სადავო ნორმებიდან უფლების შეზღუდვის ფაქტი, კონსტიტუციურ სარჩელებში იდენტიფიცირებულ კონსტიტუციურ დებულებებთან აღნიშნული შეზღუდვის მიმართება, ისევე, როგორც დაენახათ გასაჩივრებული რეგულირების არაკონსტიტუციურობის რისკები და, შესაბამისად, არსებითად განსახილველად მიეღოთ №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები. ამგვარად, ვერ გავიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის მსჯელობას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე უბრალოდ უთითებდა ცესკოს მიერ რიგ ქალაქებში საარჩევნო უბნების გაუხსნელობის გამო სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობის გართულების თაობაზე, რაც არ იყო საკმარისი, განმწესრიგებელი სხდომის ეტაპის მიზნებისათვის, კონსტიტუციური სარჩელების დასაბუთებულად მიჩნევისათვის.

20. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის. იმავდროულად, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულების პირველი მუხლის

საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები დანართის შესაბამისად, ხოლო ამავე განკარგულების დანართის მიხედვით, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები (სულ – 60 უბანი) განთავსებულია კონკრეტულ სახელმწიფოებში დიპლომატიური დაწესებულებების (საელჩოების/საკონსულოების) ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. მსგავსად, „ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ოქტომბრის №51/2024 დადგენილების პირველი მუხლის საფუძველზე, ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებთან მიმართებით დამატებით შეიქმნა 7 ახალი საარჩევნო უბანი (ქალაქებში: ნიუ იორკი, ბერლინი, ბარსელონა, რომი, ათენი, სალონიკი, პარიზი). მოცემულ შემთხვევაშიც, საარჩევნო უბნები შეიქმნა დიპლომატიური დაწესებულებების მისამართების გათვალისწინებით.

21. აღსანიშნავია, რომ №1848 კონსტიტუციურ სარჩელს თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/7245-24 საქმეზე, რომელშიც, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მოთხოვნილი იყო, ერთი მხრივ, ცესკოსთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, საარჩევნო უბნის გახსნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება 14 ქალაქში (ამერიკის შეერთებული შტატები, ბრუკლინი, ნიუ-ჯერსი და ფილადელფია; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰამბურგი, დორტმუნდი და კარლსრუე; საფრანგეთის რესპუბლიკა, სტრასბურგი და მონპელიე; იტალიის რესპუბლიკა, ფლორენცია, ნეაპოლი, ლეჩე, უდინე და მოდენა; ესპანეთის სამეფო, არნედო), ხოლო, მეორე მხრივ, საარჩევნო უბნების გახსნის ვალდებულების დაკისრება იმ ქალაქებში, სადაც 50 და მეტი საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, რის შედეგადაც, ფაქტობრივი მოცემულობა დარჩა უცვლელი და, დამატებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ოქტომბრის №51/2024 დადგენილების პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოებში საარჩევნო უბნები შეიქმნა მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების მისამართების მიხედვით.

22. სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის იდენტიფიცირების მიზნით, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ ცესკოს ენიჭება საზღვარგარეთ საარჩევნო უბნის გახსნის უფლებამოსილება, ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების გარეშე, რაც საფრთხეს უქმნის სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს და არაპროპორციულად ზღუდავს საარჩევნო უფლების რეალიზების შესაძლებლობას. უფრო კონკრეტულად, აშშ-ის საარჩევნო გეოგრაფიის მაგალითზე, საქართველოს პრეზიდენტი მიუთითებდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აღნიშნულ სახელმწიფოში საარჩევნო უბნები იმგვარად იყო გახსნილი, რომ ამომრჩეველს უწევდა რამდენიმე ასეული ან ათასეული კილომეტრის მანძილის დაფარვა ხმის მისაცემად, რაც ვერ უზრუნველყოფდა ამომრჩევლის მიერ აქტიური საარჩევნო უფლების რეალურ და ეფექტიან განხორციელებას (იხ., №1848 კონსტიტუციური სარჩელი, 27-ე და 28-ე გვერდები).

23. მივიჩნევ, რომ კონსტიტუციურ სარჩელებში წარმოდგენილი არგუმენტები და საქმეზე თანდართული მტკიცებულებები, ცალსახად, ადასტურებდა მოსარჩელე მხარის მიერ გამოკვეთილი პრობლემის რეალურობას და ზეგავლენას საარჩევნო უფლებით, სერიოზული და არაგონივრული ბარიერების გარეშე, შეუფერხებლად სარგებლობის შესაძლებლობაზე. მაგალითისთვის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულების დანართისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ოქტომბრის №51/2024 დადგენილების პირველი მუხლის მიხედვით, აშშ-ში საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ცესკოს მიერ, გახსნილი იყო 5 საარჩევნო უბანი 3 ქალაქში – 1 საარჩევნო უბანი ქალაქ ვაშინგტონში (№5 საარჩევნო უბანი); 3 საარჩევნო უბანი ქალაქ ნიუ-იორკში (№6, №7 და №8 საარჩევნო უბნები); და 1 საარჩევნო უბანი ქალაქ სან-ფრანცისკოში (№9 საარჩევნო უბანი). აღსანიშნავია, რომ ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს საკონსულო ოლქში შემავალი შტატებიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს ნიუ ჯერსი, დაახლოებით, 100 კილომეტრში, ხოლო სხვა შტატებთან მიმართებით სახმელეთო მანძილი იზრდება და, ცალკეულ შემთხვევაში, 2000 კილომეტრსაც (ლუიზიანა) კი სცდება. იმავდროულად, ქალაქ ვაშინგტონის №5 საარჩევნო უბნიდან სახმელეთო დაშორებები ამავე ქალაქში მდებარე საქართველოს საელჩოს საკონსულო ოლქებში შემავალი შტატებიდან მერყეობს, დაახლოებით, 400-500 კილომეტრიდან (ჩრდილოეთ კაროლინა) 1300-1700 კილომეტრამდე (ფლორიდა). მსგავსად, ქალაქ სან-ფრანცისკოს

№9 საარჩევნო უბნიდან სახმელეთო დაშორებები, ამავე ქალაქში მდებარე საქართველოს გენერალური საკონსულოს საკონსულო ოლქებში შემავალი შტატებიდან, უახლოესად მდებარე შტატების შემთხვევაში, მერყეობს 250-300 კილომეტრიდან (ნევადა) 900-1000 კილომეტრამდე (ორეგონი), ზომიერად დაშორებული შტატების შემთხვევაში – 1300 კილომეტრიდან (ვაშინგტონი) 2400 კილომეტრამდე (ნებრასკა), უფრო შორს დაშორებულ შტატებთან მიმართებით – 2400-დან 2600 კილომეტრამდე (შესაბამისად, ტექსასი და კანზასი) და სხვ..

24. დაახლოებით მსგავს მოცემულობას იძლევა საფრანგეთის რესპუბლიკის შემთხვევის განხილვაც. უფრო კონკრეტულად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულების შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკაში გახსნილი იყო №43 საარჩევნო უბანი, ქალაქ პარიზში, რომლის ადგილმდებარეობა ემთხვევა საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მისამართს და რომლის საკონსულო ოლქი ფარავს მთლიანად საფრანგეთის რესპუბლიკას და მონაკოს სამთავროს. №3/7245-24 საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მოთხოვნილი იყო საარჩევნო უბნის გახსნა ქალაქ სტრასბურგსა და ქალაქ მონპელიეში, რომლებიც ქალაქ პარიზიდან, დაახლოებით, დაშორებულია, შესაბამისად, 400-500 და 600-700 კილომეტრით.

25. ამრიგად, ზემოთ განხილული მაგალითების ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ, ხშირ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უწევდა რამდენიმე ასეული, ზოგჯერ კი – რამდენიმე ათასეული კილომეტრის გავლა. აღნიშნული, ბუნებრივია, წარმოშობს გონივრულ ეჭვებს, რომ უკეთეს შემთხვევაში – გართულდა, ხოლო უარეს შემთხვევაში, შეიძლება, ფაქტობრივად, გამოირიცხა კიდეც ამომრჩეველთა საარჩევნო უბანზე გამოცხადება და მათ მიერ საარჩევნო ხმის უფლების განხორციელება. სავსებით ლოგიკურია, რომ, პრაქტიკაში, სხვადასხვა ეკონომიკური, პროფესიულ-შრომითი, სოციალური თუ ოჯახური ფაქტორების გამო, ზემოხსენებულ სახელმწიფოებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ვერ მოეხერხებინათ რამდენიმე ასეული და ათასეული კილომეტრის დაფარვა, რათა მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში. მსგავსი მოცემულობა ადასტურებს, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის დაკავშირებული იყო სერიოზულ

ბარიერებთან, რაც არის ბევრად მეტი, ვიდრე უბრალო მითითება სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩევნებში მონაწილეობის გართულების თაობაზე, როგორც ეს ჩემმა კოლეგებმა აღნიშნეს №3/7/1848,1849 განჩინებაში.

26. ამ თვალსაზრისით, როდესაც, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, სამართალწარმოების მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზეა საუბარი, მოსარჩელე მხარის მიერ დასამტკიცებელ გარემოებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ დაასაბუთოს სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ საარჩევნო უფლებით სარგებლობზე არაგონივრული ბარიერების დაწესება და არა ის, რამდენად გააჩნდა არჩევნების ორგანიზებაზე ექსკლუზიურად პასუხისმგებელ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოში, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის არმქონე დასახლებებში/ქალაქებში, დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნისა და არჩევნების სათანადოდ ორგანიზების ტექნიკური, ადამიანური თუ სხვაგვარი რესურსი. ჩემთვის რთულად წარმოსადგენია იმგვარი შემთხვევის არსებობა, როდესაც მოსარჩელე მხარე შეძლებს მტკიცების მსგავსი ტვირთის აწევას და, არჩევნების ორგანიზებაზე/ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების (რომლებიც, მოცემულ დავასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოში იმავდროულად მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ) ჩართულობის გარეშე, დაასაბუთებს რა მასშტაბის რესურსის გაწევა შეუძლია ამ უკანასკნელს სხვა სახელმწიფოში არჩევნების ორგანიზებისათვის, მათ შორის, საარჩევნო გეოგრაფიის დაფარვის მასშტაბების დასადგენად.

27. ამდენად, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი დაადგენდა, რომ სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეები წააწყდნენ არსებით ბარიერებს საარჩევნო ხმის უფლების რეალიზების პროცესში, მოსარჩელე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანის ნაცვლად, თავადვე უნდა გამოეკვლია მაგ., რა არის სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების დიპლომატიური წარმომადგენლობის მისამართების მიხედვით გახსნის მიღმა რაციონალი; რა კონკრეტულ, რეალურ და ხელშესახებ საფრთხეებთან/ტექნიკურ რისკებთან არის დაკავშირებული, ამგვარი წარმომადგენლობის არმქონე ქალაქებში, ამომრჩეველთა ადგილმდებარეობის გათვალისწინებით საარჩევნო უბნების გახსნა; რა ფინანსური, ადმინისტრაციულ-ტექნიკური, ლოგისტიკური, ადამიანური თუ სხვაგვარი რესურსების მობილიზებასთან არის დაკავშირებული საზღვარგარეთ არჩევნების ორგანიზება; რამდენად მასშტაბურია სახელმწიფოს მსგავსი გადაწყვეტის ზეგავლენა სხვა

სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების მიერ საარჩევნო უფლებით სარგებლობის პროცესზე (მაგ., სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში რეგისტრირებული 95 910 ამომრჩევლიდან რა ნაწილისათვის იყო არჩევნებზე გამოუცხადებლობის ფაქტორი საარჩევნო გეოგრაფია) და სხვა.

28. გარდა ამისა, ჩემთვის გაურკვეველია რატომ გაჩნდა განჩინებაში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საჭიროება, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ, მოსარჩელე მხარის მოთხოვნის საპირწონედ, საკუთარი ინიციატივით, არგუმენტად მიუთითა არჩევნების ორგანიზების პროცესისადმი დაინტერესებული პირებისა თუ პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობაზე, რათა, არჩევნების სათანადოდ ორგანიზების მიზნებისათვის, მოეხდინათ შესაბამისი რესურსების მობილიზება, იქნებოდა ეს საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებისას ჩართულობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის სათანადოდ წარმართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა თუ სხვა, ისე, რომ მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი კვლავაც მოსარჩელე მხარეზე გადაიტანა. იმ დაშვებითაც კი, რომ ჩემი კოლეგების არგუმენტი, პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნების ორგანიზების პროცესის მიმართ დაინტერესებული სხვა პირების შეზღუდული რესურსების თაობაზე, არ არის თეორიული და ეფუძნება დასახელებული სუბიექტების რეალურ საჭიროებებს, ეს არის საკითხი, რომლის შესწავლა-გამოკვლევასაც საკონსტიტუციო სასამართლო საკმაოდ მარტივად შეძლებდა, მით უმეტეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ №1849 კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელე მხარე საქართველოს პარლამენტის წევრები იყვნენ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდნენ.

შეჯამება

29. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციური სარჩელებით წარმოდგენილი არგუმენტაცია და თანდართული მტკიცებულებები საკმარისი სიცხადით ადასტურებდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის, სხვა სახელმწიფოებში საარჩევნო უბნები გახსნილი იყო ამავე სახელმწიფოებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მისამართების მიხედვით. აღნიშნული, უმეტეს შემთხვევაში, წარმოშობდა სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიერ ერთმნიშვნელოვნად შორი მანძილის, ხშირად, ასეულობით და ათასეულობით კილომეტრის დაფარვის საჭიროებას, რათა არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებთან გამოცხადებულიყვნენ. ვფიქრობ, შეუძლებელია

მსგავსად ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ იქნეს აღქმული, როგორც არსებითი, სერიოზული ბარიერი ამომრჩეველთა საარჩევნო ხმით სარგებლობის პროცესზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა მათ ხელმისაწვდომობას არჩევნებზე, რამდენადაც, რიგ შემთხვევაში ართულებდა, სხვა შემთხვევაში კი, ფაქტობრივად, გამორიცხავდა ამომრჩეველთა საარჩევნო უბანზე გამოცხადებას და საარჩევნო ხმის უფლების განხორციელებას.

30. ზემოხსენებულ გარემოებათა ერთობლიობა კი, ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ქმნიდა სავსებით საკმარის სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რათა №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად ყოფილიყო მიღებული, მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას და არსებითი განხილვის ფორმატში შემოწმებულიყო მოსარჩელე მხარის მიერ პრობლემად დასახული საკითხის კონსტიტუციურობა, რათა მიღებულიყო საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი, დასაბუთებული გადაწყვეტილება, რასაც №3/7/1848, 1849 განჩინება ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

გიორგი კვერენჩხილაძე

ასლი დედანთან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა